

საქართველოს ორგანული კანონი

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“
საქართველოს ორგანულ კანონში
დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №22, 19.06.2007, მუხ. 186) 34-ე მუხლის რედაქცია ჩაითვალოს პირველ პუნქტად და დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2 პუნქტი:

„2. თუ პარტია პარტიული სიების ან ძირითადი და სარეზერვო მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენისას დაარღვევს საქართველოს საარჩევნო კოდექსით დადგენილ სქესთა პროპორციულობის პრინციპს, პარტიული სიებით წარსადგენი პროპორციულობის წესის ყოველი 5%-ით დარღვევაზე პარტიის საბაზო დაფინანსების ოდენობა მცირდება 5%-ით, ხოლო ძირითადი და სარეზერვო მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენისას სქესთა პროპორციულობის ყოველი დარღვევისას – 10%-ით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი